ზაქარია გიუნაშვილი

მათემატიკის ექსპერტი

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული

განვითარების ეროვნული ცენტრი

მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა

პროფესიული განვითარების პროექტი

მასტერკლასი: „თანამშრომლობითი სწავლება და პრობლემაზე / პროექტზე დაფუძნებული სწავლება მათემატიკაში“

მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა არის მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. ამ მხრივ კონკრეტული საჭიროებების გამოსაკვეთად მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა და სხვა პროფესიულმა ორგანიზაციებმა ჩაატარეს კვლევები, სადაც გამოიკვეთა ის მიმართულებები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ. ამ კვლევების შედეგებზე დაყრდნობით დაგეგმილია და უკვე ტარდება სხვადასხვა სახის ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები, კონფერენციები. ამავე მიზანს ემსახურება მასტერ-კლასი მათემატიკაში, რომელიც ჩატარდება ბათუმში.

მასტერ-კლასზე მსმენელები გაეცნობიან აქტიური სწავლების თანამედროვე მეთოდებს მათემატიკაში, გაიღრმავებენ ცოდნას როგორც საგნის სწავლების მეთოდიკის, ასევე საგნის შინაარსობრივი მიმართულებით იმ საკითხებში, რომლებიც სასერტიფიკაციო გამოცდების და სხვადასხვა კვლევების შედეგების ანალიზის მიხედვით ყველაზე პრობლემურია მათემატიკის პედაგოგებისთვის. ინტერაქტიული სამუშაო ფორმატი უზრუნველყოფს მსმენელთა მაქსიმალურ ჩართულობას.

მასტერ-კლასი გამიზნულია საბაზო და საშუალო საფეხურის მათემატიკის (წამყვანი, უფროსი და პრაქტიკოსი) მასწავლებლებისათვის.

მასტერ-კლასის ხანგრძლივობა - 4 საათი, 2-საათიანი 2 სესია.